

**ვამტკიცებ:**

სსიპ – „სოციალური მომსახურების სააგენტო“  
დირექტორი

**ვამტკიცებ:**

სს „---- ბანკის“  
დირექტორი

**ინსტრუქცია**

**ფულადი გასაცემლების საბანკო მომსახურების შესახებ**

**1. ზოგადი დებულებები**

- 1.1. წინამდებარე ინსტრუქცია მიღებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოსა (შემდგომში – „სააგენტო“) და სააქციო საზოგადოება „---- ბანკს“ (შემდგომში – „ბანკი“) შორის 2023 წლის 01 ---ს გაფორმებული „ფულადი გასაცემლების გაცემის/დარიგების საბანკო მომსახურების თაობაზე“ ხელშეკრულების შესაბამისად და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ იგივე მნიშვნელობა, როგორც ხელშეკრულებაში, თუ ამ ინსტრუქციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 1.2. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, „ფულადი გასაცემლების“ დანიშვნას და დაფინანსებას ახორციელებს „სააგენტო“, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესაბამისად.
- 1.3. საქართველოს მთელს ტერიტორიაზე „ფულადი გასაცემლების“ გაცემას ახორციელებს ბანკი.
- 1.4. „ფულადი გასაცემლების“ გაცემა ხორციელდება „ბენეფიციარებზე“ ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშებიდან.
- 1.5. სააგენტოს მიერ გადარიცხული თანხის „ბენეფიციართა“ პირად ანგარიშებზე განთავსებისა და გაცემის ოპერაციები წარმოებს ბანკის მიერ და აღნიშნული თანხების არამიზნობრივად გამოყენებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ბანკს.
- 1.6. სააგენტოდან ჩარიცხული თანხები გამოიყენება მხოლოდ დანიშნულებით. „ფულადი გასაცემლების“ თანხების ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე ჩარიცხვის დღიდან, სააგენტოსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული ვადებითა და წესით ბანკი უზრუნველყოფს „ბენეფიციართა“ ანგარიშებზე თანხების განთავსებას, გაცემას და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში თანხის ადგილზე მიტანას.
- 1.7. ამ ინსტრუქციით რეგულირდება ის „ფულადი გასაცემელი“, რომელიც ხელშეკრულების სხვა ინსტრუქციებით (დანართი N2, N3 და N4) არ არის დარეგულირებული.

**2. „ბენეფიციართა“ პირადი ანგარიშების გახსნა და წარმოება**

- 2.1. „ბენეფიციარებს“ პირადი ანგარიში ეხსნება საქართველოს კანონმდებლობის, მხარეებს შორის მოქმედი ხელშეკრულებისა და ამ ინსტრუქციის შესაბამისად.
- 2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში „ბენეფიციართა“ მონაცემების ბანკში წარდგენის შემდეგ, მათ ეხსნებათ პირადი ანგარიშები (ან გამოყენებული იქნება უკვე

არსებული ანგარიში), ყოველგვარი საზღაურის გარეშე, სადაც ხდება სააგენტოდან ჩარიცხული თანხების განთავსება.

2.3. თანხის გასაცემად სააგენტო ბანკს წარუდგენს „ბენეფიციართა“ სახელობითი მონაცემების (შემდგომში – „სახელობითი მონაცემები“) ელექტრონულ ვერსიას (CD), რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას (ფორმა N1 – „ფულადი გასაცემლების მიმღებთა სახელობითი მონაცემები“):

2.3.1. წარმდგენის დასახელება;

2.3.2. წარდგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

2.3.3. „ფულადი გასაცემლის“ სახეობა;

2.3.4. ის კალენდარული თვე, რომელ თვესაც განეკუთვნება „ფულადი გასაცემელი“;

2.3.5. „ბენეფიციართა“ რეკვიზიტები: გვარი, სახელი, მისამართი, „ფულადი გასაცემლის“ საქმის ნომერი, საქართველოს მოქალაქის პირადი თერთმეტნიშნა ნომერი და დაბადების თარიღი;

2.3.6. გასაცემი თანხის ოდენობა.

2.4. სააგენტოს ცენტრალური აპარატის მიერ ბანკის სათაო ოფისს წარედგინება სახელობითი მონაცემები ელექტრონული ვერსიის სახით და წერილობითი ინფორმაცია „ფულადი გასაცემლის“ მიმღებთა რაოდენობისა და მათზე ჩასარიცხი თანხების შესახებ.

2.5. „ფულადი გასაცემლის“ მიმღებთა ანგარიშებზე ბანკის მიერ აქტიური ოპერაციები განხორციელდება პირადი ანგარიშის მფლობელის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ბანკის ფილიალში კანონმდებლობით და ამ ინსტრუქციით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ.

2.6. თანხის გატანისას „ბენეფიციარი“ ვალდებულია ბანკში წარადგინოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. იმ შემთხვევაში თუ „ფულადი გასაცემელი“ გაიცემა პლასტიკური ბარათის საშუალებით, ზემოაღნიშნულ დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს პლასტიკური ბარათიც.

2.7. „ბენეფიციარის“ გარდაცვალების შემთხვევაში, მის გარდაცვალებამდე კუთვნილი და მიუღებელი თანხების გაცემა ხორციელდება:

2.7.1. პირველი რიგის მემკვიდრეზე (შვილები, მშობლები, მეუღლე) სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი შეტყობინებისა (ფორმა N2 – „შეტყობინება „ფულადი გასაცემლის“ მემკვიდრეობით გაცემის შესახებ“) და მემკვიდრის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე;

2.7.2. კანონით გათვალისწინებულ სხვა მემკვიდრეზე სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი შეტყობინების (ფორმა N2 – „შეტყობინება ფულადი გასაცემლის მემკვიდრეობით გაცემის შესახებ“), სამკვიდროს მოწმობისა (ანდერძის) და მემკვიდრის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე.

### **3. მხარეთა უფლებამოსილებები და ურთიერთშედარება**

3.1. სააგენტო ვალდებულია:

3.1.1. „ფულადი გასაცემლის“ თანხები ჩაურიცხოს ბანკს საკორესპონდენტო ანგარიშზე;

3.1.2. „ფულადი გასაცემლის“ თანხის ჩარიცხვამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე, მიაწოდოს ბანკს მიმდინარე თვის „ბენეფიციართა“ სახელობითი მონაცემები ელექტრონული ვერსიის სახით წერილთან ერთად, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ბენეფიციართა და მათზე ჩასარიცხი თანხების საერთო რაოდენობა.

3.2. ბანკი ვალდებულია:

3.2.1. ერთ საბანკო დღეში შეამოწმოს ბანკში წარდგენილი 2.3 პუნქტში მითითებული სახელობითი მონაცემების სრულყოფილება, თანხობრივი ჯამი და ტექნიკური უზუსტობების შემთხვევაში მონაცემები სათანადო შეტყობინებით დააბრუნოს სააგენტოში მიღებიდან

არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს. ბანკს არ აქვს უფლება შეიტანოს კორექტივები სააგენტოს მიერ წარდგენილ სახელობით მონაცემებში (ან ინფორმაციაში). აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სააგენტოს წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში;

3.2.2. ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე თანხების ჩარიცხვიდან 3 (სამი) საბანკო დღეში დაასრულოს „ფულადი გასაცემლების“ თანხების „ბენეფიციართა“ პირად ანგარიშებზე თანხების განთავსება. თანხების განთავსებიდან მომდევნო სამუშაო დღეს, ბანკი სააგენტოს აწვდის „ბენეფიციართა“ პირად ანგარიშებზე თანხების სრულად განთავსების დამადასტურებელ წერილის (შეტყობინება, ცნობა). ბანკის მიერ „ფულადი გასაცემლის“ განთავსების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის თარიღად ითვლება წერილის (შეტყობინების, ცნობის) სააგენტოს კანცელარიაში გატარების თარიღი;

3.2.3. ყოველთვიურად, მიმდინარე თვის 25 (ოცდახუთი) რიცხვის მდგომარეობით, აღნიშნული თარიღიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს სააგენტოს ყველა შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს იმ „ბენეფიციართა“ სახელობითი მონაცემები (2.3.5. პუნქტში მითითებული რეკვიზიტების ჩვენებით), რომელთა (ბენეფიციართა):

3.2.3.1. ბანკში გახსნილ პირად ანგარიშ(ებ)ზე ბოლო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ყოველთვიურად უწყვეტად ხორციელდებოდა სოციალური გასაცემლის ჩარიცხვა და რომლებზეც (პირად ანგარიშებზე) ზედიზედ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ განხორციელებულა აქტიური ოპერაცია, ანუ როდესაც აღნიშნული ვადის განმავლობაში არ ხდება პირადი ანგარიშებიდან თანხის გატანა/განკარგვა. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის აქტიური ოპერაცია მოიცავს:

ა) ბენეფიციარის პირადი ანგარიშიდან თანხის გატანას ბენეფიციარის ძირითადი ან დამატებითი პლასტიკური ბარათის გამოყენებით, მათ შორის ბანკომატის მეშვეობით;

ბ) ბენეფიციარის ძირითადი ან დამატებითი პლასტიკური ბარათის გამოყენებით ანგარიშსწორებას სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში;

გ) ბენეფიციარის ანგარიშიდან ბანკის მიერ ბენეფიციარის დავალებით თანხების გადატანას ვადიან დეპოზიტზე;

დ) ბენეფიციარის ანგარიშიდან ბანკის მიერ ვადიანი საგადახდო დავალების შესრულებას;

ე) ბენეფიციარის ბანკში ფიზიკური ვიზიტისას საკუთარი ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა როგორც ბენეფიციარის პირად, ასევე მესამე პირ(ებ)ის ანგარიშზე.

3.2.3.2. ბანკში გახსნილ პირად ანგარიშ(ებ)ზე ბოლო თვეში (ინსტრუქციის 3.2.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საანგარიშო თვეში) განხორციელდა სოციალური გასაცემლის ჩარიცხვა და ბოლო 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში ბენეფიციარის პირადი ანგარიშიდან თანხები გაცემულია/განკარგულია მხოლოდ დამატებითი პლასტიკური ბარათის (მინდობილობის) საფუძველზე და ამ პერიოდში არ მომხდარა დამატებითი პლასტიკური ბარათის (მინდობილობის) შეკვეთა (განახლება).

3.2.3.3. ბანკში გახსნილ პირად ანგარიშ(ებ)ზე ბოლო თვეში (ინსტრუქციის 3.2.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საანგარიშო თვეში) განხორციელდა სოციალური გასაცემლის ჩარიცხვა და ბოლო 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში ბანკის მიერ ბენეფიციარის დავალებით ხორციელდებოდა თანხების გადატანა ვადიან დეპოზიტზე და ამ პერიოდში არ განხორციელებულა სხვა აქტიური ოპერაცია (წინამდებარე ქვეპუნქტის მიზნებისათვის აქტიური ოპერაცია განიმარტება ინსტრუქციის 3.2.3.1. ქვეპუნქტის პირობების შესაბამისად).

3.2.4. „ფულადი გასაცემლის“ მიმღებ კონკრეტულ პირზე ამ მუხლის 3.2.3 პუნქტით გათვალისწინებული ერთი და იგივე მიზეზის არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოს სააგენტოსათვის ინფორმაციის მიწოდება ერთჯერადად. ამ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ ვადების ათვლა (3.2.3.1. პუნქტის შემთხვევაში 6 თვე; 3.2.3.2. და 3.2.3.3. პუნქტების შემთხვევაში – 12 (თორმეტი) თვე) იწყება თავიდან.

3.2.5. სააგენტოს ან სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მოთხოვნისამებრ, წარუდგინოს ინფორმაცია „ფულადი გასაცემლის“ თითოეული მიმღების პირად ანგარიშზე გასაცემლის თანხების მოძრაობის შესახებ. ინფორმაციაში უნდა ჩანდეს „ბენეფიციარის“ რეკვიზიტები 2.3.5 პუნქტის მიხედვით; ასევე, მის პირად ანგარიშზე განთავსებული და გაცემული თანხები, განთავსების და გაცემის თარიღების ჩვენებითა და საბოლოო ნაშთის მითითებით. მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენაზე გამოიყენება ხელშეკრულების 6.1.6 პუნქტით გათვალისწინებული ვადები;

3.2.6. სააგენტოს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა (წერილის ჩაბარების მომდევნო დღე ითვლება პირველ სამუშაო დღედ), სრულად დააბრუნოს სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე ფულადი გასაცემლის არასწორად ან მიმღების გარდაცვალების შემდგომ პერიოდში ჩარიცხული თანხები, გარდა მოთხოვნამდე გაცემული თანხებისა ფორმა N4-2-ს მიხედვით. მესამე პირზე თანხის გაცემის შემთხვევაში, ამავე ვადაში მიაწოდოს სააგენტოს ინფორმაცია ელექტრონულ ფორმატში. მოთხოვნის შემთხვევაში, მესამე პირზე თანხის გაცემის დროს, ბანკი სააგენტოს აწვდის დოკუმენტურ ინფორმაციას თანხის გაცემის საფუძველ(ებ)ის მითითებით, ხელშეკრულების 6.1.6 პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში.

3.3. ბანკი ვალდებულია არ გასცეს „ფულადი გასაცემელი“ ან/და არ დაამზადოს „დამატებითი პლასტიკური ბარათი“ მინდობილობის/რწმუნებულების საფუძველზე თუ მინდობილობის/რწმუნებულების გაცემიდან 1 (ერთი) წლის გასვლის შემდეგ არ მომხდარა მინდობილობის/რწმუნებულების განახლება.

3.4. ძირითადი პლასტიკური ბარათის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებსა და ბანკომატებში გამოყენების მოქმედების ვადა განისაზღვროს მაქსიმუმ 1 (ერთი) წლით. ამასთან, აღნიშნული ვადის ათვლა იწყება ბენეფიციარის მიერ ნებისმიერი აქტიური ოპერაციის შესასრულებლად ბანკში ფიზიკური ვიზიტის ბოლოს განხორციელების თარიღიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ძირითადი პლასტიკური ბარათის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებსა და ბანკომატებში გამოყენების მოქმედების ვადის განახლება შესაძლებელია აღნიშნულზე უშუალოდ ბენეფიციარის მიერ განცხადებით მიმართვის შემთხვევაში.

3.5. „ფულადი გასაცემლების“ მიმღებ პირთა ანგარიშებზე თანხების მოძრაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა შორის ფორმდება ურთიერთშედარების აქტები (ფორმა N3 – ფულადი გასაცემლების თანხების მოძრაობის შესახებ). ურთიერთშედარების აქტები (ფორმა N3) ივსება დაბეჭდილი სახით, 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლის 2 (ორი) ეგზემპლარი ინახება სააგენტოში, ხოლო მესამე – ბანკში. ურთიერთშედარების აქტის ფორმებში არ შეიძლება განხორციელდეს ჩასწორებები. მონაცემების დაზუსტების შემთხვევაში, უნდა გაფორმდეს ახალი ურთიერთშედარების აქტი, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი წერილობითი ინფორმაცია. ფორმა N3 დამოწმებული უნდა იყოს სააგენტოსა და ბანკის პასუხისმგებელი პირების და საფინანსო საკითხებზე პასუხისმგებელი პირების ხელის მოწერითა და ბეჭდებით.

3.6. ურთიერთშედარების აქტები (ფორმა N3) ფორმდება ყოველთვიურად, „ფულადი გასაცემლების“ ჩარიცხვიდან მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე.

3.7. ურთიერთშედარების აქტი (ფორმა N3) ფორმდება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების მიხედვით; ინომრება რიგითობით (N1, N2, N3 და ა.შ.) და თითოეული აქტი უნდა იყოს დათარიღებული.

3.8. სააგენტოს ან ბანკის მიერ ურთიერთშედარების აქტის (ფორმა N3) ხელმოწერაზე უარს თქმის შემთხვევაში, შესაბამისი მხარე ვალდებულია არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა წერილობით განმარტოს ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.

#### 4. გადარიცხული თანხების გამოთხოვისა და ინფორმაციის

## ურთიერთგაცვლის წესი

4.1. გადარიცხული თანხების უკანდაბრუნებასთან დაკავშირებით სააგენტო არაუგვიანეს ყოველი თვის 12 (თორმეტი) რიცხვისა, ბანკში წარადგენს მოთხოვნას უკანდასაბრუნებელი თანხების შესახებ ელექტრონული ფორმით (ფორმა N4-1 „ინფორმაცია ბანკიდან უკანდასაბრუნებელი თანხების შესახებ“). არსებული (გამოვლენილი) მონაცემების საფუძველზე კონკრეტულ თვეში მოთხოვნილი უკანდასაბრუნებელი თანხა (იგივე პერიოდი, იგივე თანხები), არ შეიძლება განმეორდეს მომდევნო თვის (თვეების) მოთხოვნაში. უკანდასაბრუნებელი თანხების რეესტრი სააგენტოს მიერ ბანკს წარედგინება გასაცემლების სახეობების მიხედვით. ბანკს არა აქვს უფლება შეიტანოს კორექტივები სააგენტოს მიერ წარდგენილ სახელობით მონაცემებში (ან ინფორმაციაში). აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს სააგენტოს წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში. უკანდასაბრუნებელი თანხების რეესტრი შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს:

4.1.1. „ბენეფიციარის“: გვარს, სახელს, პირადი ნომერს, „ფულადი გასაცემლის“ საქმის ნომერს (საჭიროების შემთხვევაში გასაცემლის საქმის ძველ ნომერს);

4.1.2. უკანდასაბრუნებლად მოთხოვნილი „ფულადი გასაცემლის“ ჩარიცხვის პერიოდს (წელი, თვე), გასაცემლის სახეს, ოდენობასა და დასაბრუნებელი თანხების ჯამს;

4.1.3. თანხის გამოთხოვის მიზეზი.

4.2. სააგენტოს მიერ, „ინფორმაცია ბანკიდან უკანდასაბრუნებელი თანხების შესახებ“ (ფორმა N4-1), იგზავნება CD დისკზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს წერილი. წერილისა და CD დისკის ბანკში წარდგენის თარიღად ითვლება ბანკის მიერ კანცელარიაში გატარების თარიღი.

4.3. სააგენტოს მიერ 4.1. და 4.2. პუნქტების შესაბამისად წარდგენილი უკანდასაბრუნებელი თანხების რეესტრის საფუძველზე, ბანკი ვალდებულია მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა დაუბრუნოს მოთხოვნილი თანხები და მიაწოდოს ინფორმაცია მოთხოვნილი თანხების დაბრუნების ან შესაბამისი საფუძველით თანხების დაბრუნებაზე უარის თქმის შესახებ „ინფორმაცია ბანკიდან უკანდასაბრუნებელი თანხების შესახებ“ (ფორმა N4-2) რეესტრის სახით, რომელიც შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს:

4.3.1. „ბენეფიციარის“: გვარი, სახელი, პირადი ნომერი, „ფულადი გასაცემლის“ საქმის ნომერი;

4.3.2. ბანკის მიერ დაბრუნებული „ფულადი გასაცემლების“ თანხები სახეობების მიხედვით და დაბრუნებული თანხის ჯამი;

4.3.3. ინფორმაცია უკანდასაბრუნებელი თანხების მოთხოვნამდე გაცემის შესახებ, გასაცემლების სახეობების, გატანის ტიპისა და გამტანი პირის მონაცემების (პირადი ნომერი, სახელი, გვარი, მისამართი და გატანის თარიღი) ჩვენებით;

4.3.4. ინფორმაცია მოთხოვნილი თანხის უკანდაბრუნებაზე უარის თქმის შესახებ – დასაკორექტირებელი თანხა, დაბრუნებაზე უარის თქმის მიზეზ(ებ)ის მიხედვით;

4.3.5. ნაშთი – სააგენტოს მიერ უკანდასაბრუნებლად მოთხოვნილ თანხასა და ბანკის მიერ დაბრუნებულ და/ან არდაბრუნებულ თანხების ჯამს შორის ნაშთი ყოველთვის ნულის ტოლი უნდა იყოს;

4.4. ბანკის მიერ სათანადოდ შევსებული ფორმა N4-2 იგზავნება სააგენტოში CD დისკზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს წერილი. წერილისა და CD დისკის სააგენტოში წარდგენის თარიღად ითვლება სააგენტოს კანცელარიაში გატარების თარიღი.

4.5. ამ მუხლის 4.4 პუნქტით გათვალისწინებულ წერილს აგრეთვე თან უნდა ახლდეს საგადახდო დავალება ბანკის მიერ უკანდაბრუნებული თანხების სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე გადარიცხვის (აღდგენის/დაბრუნების) შესახებ. წერილში მითითებული უნდა იყოს სააგენტოს მიერ ბანკში წარდგენილი მოთხოვნის რეკვიზიტები (თვე, რიცხვი, თანხა, წერილის ნომერი). საგადახდო დავალებებში აღნიშნული თანხების ჯამი უნდა ემთხვეოდეს ბანკის მიერ შევსებულ და სააგენტოში წარმოდგენილ ფორმა N4-2 -ით გათვალისწინებულ დაბრუნებული თანხების ჯამს.

4.6. ბანკის მიერ წარმოდგენილი ფორმა N4-2 -ით გათვალისწინებულ დასაკორექტირებელ თანხებზე, სააგენტო წარმოდგენიდან მომდევნო თვის 12 (თორმეტი) რიცხვამდე ბანკს უგზავნის „კორექტირებული უკანდასაბრუნებელი თანხების რეესტრ“-ს (ფორმა N4-3). სააგენტოს მიერ წარმოდგენილი N4-3 ფორმა შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს:

4.6.1. „ბენეფიციარის“: გვარი, სახელი, პირადი ნომერი, „ფულადი გასაცემლის“ საქმის ნომერი;

4.6.2. სააგენტოს მიერ ფორმა N4-1 -ში არასწორად მოთხოვნილ თანხებს, მიზეზისა და ჯამის ჩვენებით;

4.6.3. უკანდასაბრუნებელი „ფულადი გასაცემლის“ დაკორექტირებულ თანხას;

4.6.4. კორექტირების შემდეგ ბანკის მიერ დამატებით დასაბრუნებელ თანხას.

4.7. სააგენტოს მიერ კორექტირებული უკანდასაბრუნებელი თანხების რეესტრი (ფორმა N4-3), იგზავნება CD დისკზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს წერილი. წერილისა და CD დისკის ბანკში წარდგენის თარიღად ითვლება ბანკის კანცელარიაში გატარების თარიღი.

4.8. ბანკი ვალდებულია სააგენტოს მიერ დაკორექტირებული, უკანდასაბრუნებლად განმეორებით მოთხოვნილი თანხები დააბრუნოს მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა და მიაწოდოს ინფორმაცია თანხების დაბრუნების შესახებ ამ ინსტრუქციის 4.3. პუნქტის შესაბამისად;

4.9. ბანკი სააგენტოს წერილობით აცნობებს კორექტირებული უკანდასაბრუნებელი თანხების რეესტრით (ფორმა N4-3), გათვალისწინებული კორექტირებული თანხების დაბრუნების ან დაბრუნებაზე უარისთქმის შესახებ. კორექტირებული თანხების დაბრუნების შემთხვევაში წერილს თან უნდა ახლდეს საგადახდო დავალება ბანკის მიერ თანხების სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე გადარიცხვის (აღდგენის) შესახებ. წერილში მითითებული უნდა იყოს სააგენტოს მიერ ბანკში წარდგენილი მოთხოვნის რეკვიზიტები (თვე, რიცხვი, თანხა, წერილის ნომერი).

4.10. ამ მუხლის 4.1. 4.3. და 4.6. პუნქტებით გათვალისწინებულ ფორმებში (ფორმა NN4-1; 4-2; 4-3), უკანდასაბრუნებელ თითოეულ პერიოდზე – წელი და თვე – ჩანაწერი კეთდება ცალ-ცალკე.

4.11. ამ მუხლის მიზნებისათვის უკანდასაბრუნებელ თანხებს განეკუთვნება:

4.11.1. არასწორად ან ზედმეტად გადარიცხული „ფულადი გასაცემელი“;

4.11.2. „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილებით და „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაბაოზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის N46/ნ ბრძანებით გათვალისწინებული ან ამ აქტების შესაბამისად ადმინისტრირებული, ბენეფიციარის პირად ანგარიშზე არსებული იმ „ფულადი გასაცემლის“ თანხები, რომელთა გაცემაც სააგენტომ შეწყვიტა ბენეფიციარის გარდაცვალების მიზეზით და ეს თანხები ბენეფიციარის გარდაცვალებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში არ იქნა გატანილი მემკვიდრის მიერ.

4.12. ამ მუხლის 4.11.2. პუნქტით გათვალისწინებული უკანდასაბრუნებელ თანხებთან მიმართებაში ბანკი სააგენტოს შესაბამის ინფორმაციას აწვდის სააგენტოს წერილობითი მოთხოვნიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

4.13. არსებული საჭიროების გათვალისწინებით, სააგენტო უფლებამოსილია ამ მუხლის 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუადრეს იმავე თვეში გაკეთებული პირველადი მოთხოვნის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, ბანკს დამატებით წარუდგინოს მოთხოვნა უკანდასაბრუნებელი თანხების თაობაზე. ამ შემთხვევაში გამოიყენება იგივე პირობები რაც გათვალისწინებულია მე-4 მუხლით.

## **5. თანხების ბინაზე მიტანა**

- 5.1. „ფულადი გასაცემლის“ ბინაზე მიღების მსურველმა აღნიშნულის თაობაზე წერილობით უნდა მიმართოს ბანკის შესაბამის ფილიალს.
- 5.2. „ბენეფიციარის“ მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი ახორციელებს თანხების ბინაზე მიტანას, პირად ანგარიშზე შესაბამისი თანხის განთავსებიდან არაუგვიანეს 8 (რვა) სამუშაო დღის განმავლობაში.

## **6. პლასტიკური ბარათი (სოციალური ბარათი)**

- 6.1. „ბენეფიციარის“ სურვილის შემთხვევაში ბანკი უზრუნველყოფს „ფულადი გასაცემლის“ თანხების გაცემას პლასტიკური ბარათით, ბანკში არსებული წესის შესაბამისად.
- 6.2. ბანკის მიერ პლასტიკური ბარათი დამზადდება „ბენეფიციარის“ წერილობითი განცხადების საფუძველზე და ბანკის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, ბანკში არსებული წესების თანახმად. ბანკი განუმარტავს „ბენეფიციარის“ პლასტიკური ბარათით სარგებლობისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეზღუდვებს.
- 6.3. „ბენეფიციარის“ პლასტიკური ბარათი გადაეცემა ყოველგვარი საზღაურის გარეშე და მისი გაცემისას დაცული უნდა იყოს ინსტრუქციის 3.4. პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები. ამასთან ბანკი პლასტიკური ბარათით თანხის განაღდებას ბანკომატით უზრუნველყოფს უსასყიდლოდ ბანკის კუთვნილი და ალტერნატიული ბანკის ბანკომატებიდან.
- 6.4. დამატებითი ბარათი გაიცემა ბანკში არსებული წესებისა და მოთხოვნების თანახმად.

## **7. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები**

- 7.1. წინამდებარე ინსტრუქცია ძალაშია და მოქმედებს მხარეთა შორის გაფორმებული „ხელშეკრულების“ შესაბამისად.
- 7.2. წინამდებარე ინსტრუქციაში ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანა შესაძლებელია, წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმებით.
- 7.3. წინამდებარე ინსტრუქციით გაუთვალისწინებელი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, ხელშეკრულებით, მხარეთა მოლაპარაკებითა ან/და შეთანხმებით.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო

სახელობითი მონაცემები

\_\_\_\_\_ მიმღებთა შესახებ, რომლებზეც უნდა გაიცეს  
ფულადი გასაცემლის დასახელება

20\_\_ წლის \_\_\_\_\_ თვის გასაცემელი

N	ფულადი გასაცემლის მიმღები		მისამართი				საქმის N	საქართველოს მოქალაქის პირადი N	დაბ. თარ. (რიცხვი, თვე, წელი)	გასაცემი თანხის ოდენობა
	გვარი	სახელი	ქუჩა, მ/რ, კვ., დას.	სახლი	კორპ.	ბინა				
გვერდის ჯამი										0,00



ფორმა N2<sup>1</sup>  
შეტყობინება

გთხოვთ, გარდაცვლილი ბენეფიციარის \_\_\_\_\_ პირადი N \_\_\_\_\_;  
(გვარი, სახელი)  
საქმის N \_\_\_\_\_ გარდაცვალებამდე მიუღებელი, კუთვნილი პერიოდის \_\_\_\_\_ გასაცემლის  
თანხები 20\_\_ წლის \_\_\_\_\_ თვის ჩათვლით გასცეთ მის პირველი რიგის მემკვიდრეზე მოქ: \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_ პირადი N \_\_\_\_\_  
(გვარი, სახელი)

განყოფილების/ცენტრის უფროსი \_\_\_\_\_ ბ.ა.  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ფორმა N2<sup>2</sup>  
შეტყობინება

გთხოვთ, გარდაცვლილი ბენეფიციარის \_\_\_\_\_ პირადი N \_\_\_\_\_;  
(გვარი, სახელი)  
საქმის N \_\_\_\_\_ გარდაცვალებამდე მიუღებელი, კუთვნილი პერიოდის \_\_\_\_\_ გასაცემლის  
თანხები 20\_\_ წლის \_\_\_\_\_ თვის ჩათვლით გასცეთ მის კანონით გათვალისწინებულ სხვა მემკვიდრეზე  
მოქ: \_\_\_\_\_ პირადი N \_\_\_\_\_  
(გვარი, სახელი)

განყოფილების/ცენტრის უფროსი \_\_\_\_\_ ბ.ა.  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ფორმა N2<sup>3</sup>  
შეტყობინება

გთხოვთ, გარდაცვლილი ბენეფიციარის \_\_\_\_\_ პირადი N \_\_\_\_\_;  
(გვარი, სახელი)  
საქმის N \_\_\_\_\_ გარდაცვალებამდე მიუღებელი, კუთვნილი პერიოდის \_\_\_\_\_ გასაცემლის  
თანხები 20\_\_ წლის \_\_\_\_\_ თვის ჩათვლით და 20\_\_ წლის \_\_\_\_\_ თვის ჩარიცხული ლარიდან,  
\_\_\_\_\_ ლარი გასცეთ მის პირველი რიგის მემკვიდრეზე  
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)  
მოქ: \_\_\_\_\_ პირადი N \_\_\_\_\_  
(გვარი, სახელი)

განყოფილების/ცენტრის უფროსი \_\_\_\_\_ ბ.ა.  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ფორმა N2<sup>4</sup>  
შეტყობინება

გთხოვთ, გარდაცვლილი ბენეფიციარის \_\_\_\_\_ პირადი N \_\_\_\_\_;  
(გვარი, სახელი)  
საქმის N \_\_\_\_\_ გარდაცვალებამდე მიუღებელი, კუთვნილი პერიოდის \_\_\_\_\_ გასაცემლის  
თანხები 20\_\_ წლის \_\_\_\_\_ თვის ჩათვლით და 20\_\_ წლის \_\_\_\_\_ თვის ჩარიცხული ლარიდან,  
\_\_\_\_\_ ლარი გასცეთ მის კანონით გათვალისწინებულ  
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)  
სხვა მემკვიდრეზე, მოქ: \_\_\_\_\_ პირადი N \_\_\_\_\_  
(გვარი, სახელი)

განყოფილების/ცენტრის უფროსი \_\_\_\_\_ ბ.ა.  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ურთიერთშედარების აქტი N

\_\_\_\_\_ 20\_\_ წელი

\_\_\_\_\_ თვეში ფულადი გასაცემლების თანხების მოძრაობის შესახებ (ლარებში)

N	ფულადი გასაცემლის დასახელება	ნაშთი პერიოდის დასაწყისში	ბანკში წარდგენილი სახელობითი მონაცემების საერთო თანხა	სააგენტოს მიერ დაფინანსებული თანხა	ბანკის მიერ პირად ანგარიშებზე ჩაირიცხა (საერთო თანხა)	პირადი ანგარიშიდან თანხის დაბრუნებაზე სააგენტოს მიერ ბანკში წარდგენილი მოთხოვნა	სააგენტოს ანგარიშზე დაბრუნებას ექვემდებარება	სააგენტოს ანგარიშზე დაბრუნებული	ფულადი ნაშთი პერიოდის ბოლოს
1									
2									
3									
4									
5									
6									
7									
<b>სულ ჯამი</b>		<b>0.00</b>			<b>0.00</b>	<b>0.00</b>	<b>0.00</b>		<b>0.00</b>





